საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 86

22/05/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31–ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად №1 დანართის შესაბამისად.

2. ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად №1 დანართში მითითებულ საჯარო მოხელეთა საერთო და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტესტირებისას მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის №48 დადგენილების შესაბამისად, ხოლო თანამდებობრივი ინსტრუქციები „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 20 ნოემბრის №241 ბრძანების შესაბამისად.

3. ვაკანტური თანამდებობის თაობაზე განცხადის მომზადება და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

ი. მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე